სამხედრო თვალსაზრისით, ახალქალაქის აღებასთან დაკავშირებული ზოგიერთი სიტუაცია განსაკუთრებით ყურადსაღებია. შესაძლოა, თურქთა გარნიზონმა ნამდვილად სამართლიანი გადაწყვეტილება მიიღო — სიცოცხლის ფასად დაეცვა ქალაქი, რომელიც მათ მშობლიურ ბუდეს წარმოადგენდა, მაგრამ სიტყვასა და საქმეს შორის დიდი მანძილია. ბოლო წუთამდე მათ ვერ შეძლეს, თავი გაენიროთ — როცა წარმოიდგინეს, წინ რა მოელოდათ, ზოგი გაიქცა, ზოგიც ტყვედ ჩაბარდა.

ამ დღის ნამდვილი გმირი შირვანის ის ორი ასეული იყო, რომლებიც კედელზე აცოცდა და ქალაქში შეაღწიეს. მათ დახმარების არანაირი იმედი არ ჰქონდათ, რადგან რუსთა შენაერთები ქალაქში ვერ შევიდოდნენ, ერთადერთი გზა ხომ კედლებზე „გადიოდა“. იმ დარჩენილ სამას თურქსაც იარაღი რომ არ დაეყარა, რუსები ქალაქს მაინც აიღებდნენ, მაგრამ მაშინ გამარჯვების სიხარულს უფრო ცოტა ვინმე თუ გაიზიარებდა, ვიდრე ახლა.

პოლკოვნიკი ბოროდინი წმ. გიორგის მესამე ხარისხის ორდენით დაჯილდოვდა (თუმცა ამ ვილდომ მას ცოცხალს ვერ მოუხსნო, რადგან 15 აგვისტოს ახალციხის შტურმისას დაიღუპა), საკენის — წმ. ანას პირველი ხარისხის ორდენის ალმასის ნიშანი გადასცეს; პასკევიჩი კი შირვანის ქვეითთა პოლკის შეფად დაინიშნა.

ამ გამარჯვების შემდეგ რუსთა კორპუსს გზა გაეხსნა ახალციხისაკენ. მაგრამ ამ გზაზე ახალქალაქიდან 25 კერსის მოშორებით კიდევ

ერთი ციხესიმაგრე — ხერთვისი იყო. რუსებმა მის შესახებ დეტალური ინფორმაცია შეაგროვეს.

ხერთვისი იდგა მდინარე ახალქალაქს-ჩაის მარჯვენა სანაპიროზე, სადაც იგი მდინარე მტკვარს ერთვოდა. ხეობაში შესასვლელი — 2 ვერსი სიგრძის გზა იმდენად ვიწრო იყო, რომ მეომრებს „ძაფვიით განელილს“ უნდა გაეცლოთ. იგი ციტადელის სამიზნეს წარმოადგენდა. არსებობდა სხვა გზებიც, მაგრამ ისინი უფრო უარესი იყო. თავად სიმაგრე არ წარმოადგენდა ძნელადასაღებ ნაგებობას. მისი კედლების სიმაღლე არ აღემატებოდა 1 ან 1,5 საყენს, კოშკები არტილერიის განსათავსებლად მოუხერხებელი იყო, ერთადერთი დიდ კედელზე მდგარი ციტადელი იყო მნიშვნელოვანი. ხერთვისში მხოლოდ ორასკაციანი გარნიზონი შეეძლო დიდხანს გამაგრება.

აქ იყო მეჩეთი, ყაზარმები და 20-30 საცოდავი ნაგებობა. მოსახლეობა ცხოვრობდა ციხესიმაგრის კედლის სამხრეთ და ჩრდილოეთ მხარეს. აქ იყო 100-მდე სახლი, მეჩეთი, სინაგოგა და მდიდრული ბაღები (განთქმული მთელს ახალციხის საფაშოში). თითოეულ სახლსა და ლოპეს მეომარი იცავდა. ადგილობრივი მოსახლეობა ნაკლებად იყო საბრძოლველად განვრთნილი. იგი შედგებოდა თურქებისგან, ქართველებისგან, სომხებისგან, ებრაელებისგან. შესაძლოა, ეროვნებათა



**ჯარს უაღლესი მთავარსარდლის ბრძანება გააგნეს, როგორც მთავარად სიტყვაებით: „რამდენიმე დღე და ჩვენ ვიქნებით ახალციხის კედლებს შიგნით, აზიის ამ ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან სიმაგრეში. დეარტი იყოს ჩვენი უაღლესი“**

**სერთვისის დაპყრობის შემდეგ ბაღის განსაზღვრავი მნიშვნელოვანი იყო. ადგილობრივი მოსახლეობა დაბრუნდა მთავიდან, აიღო პარის მოსაპალი და ჩუსულ ბანაქი დააბინა. ამგვარად, სერთვისში გაჩნდა პროექტების მნიშვნელოვანი საწყობი.**



და რწმენის ასეთი აღრევის გამო, თავად თურქები აქ ისე არ გამოირჩეოდნენ ჩვეული ფანატიზმით, როგორც მაგ., ახალციხეში. ციხესიმაგრესაც ნამდვილად არ გაუწევია არანაირი წინააღმდეგობა.

26 ივლისს რუსთა კორპუსი ხერთვისისკენ დაიძრა. ჯერ კიდევ 25-ში ღამით ხერთვისის მოსახლეობა შეშინებული იყო ახალქალაქიდან გამოქცეული რამდენიმე კაცის მონათხრობის გამო. მათ უკვე აღარ ჰქონდათ თავიანთი ციტადელის იმედი და ჯგუფებად გარბოდნენ მთებში. პოლკოვნიკმა რაევსკიმ გადაწყვიტა, გაქცეულებს დადევნებოდა და შემთხვევით აღმოჩნდა ხერთვისის კედელთან. არც კი დაფიქრებულა, აღმართა თეთრი ბაიროლი და კომენდანტს მოსთხოვა, დახმარებოდა. ციხის კარი გაიღო. ხერთვისი ერთი გასროლის გარეშე ჩაბარდა.

სერთვისის დაპყრობის შემდეგ ბაღის განსაზღვრავი მნიშვნელოვანი იყო. ადგილობრივი მოსახლეობა დაბრუნდა მთავიდან, აიღო პარის მოსაპალი და ჩუსულ ბანაქი დააბინა. ამგვარად, სერთვისში გაჩნდა პროექტების მნიშვნელოვანი საწყობი.

რუსთა მთავიდან, აიღო პარის მოსაპალი და ჩუსულ ბანაქი დააბინა. ამგვარად, სერთვისში გაჩნდა პროექტების მნიშვნელოვანი საწყობი.

მაშინ, როცა რაევსკიმ ხერთვისი აიღო, რუსული ბანაკი კვლავ ახალქალაქთან იდგა. მას შეუერთდა საქართველოდან წასული რეზერვები. ნალკიდან გადმოიყვანეს ხერსონის გრენადერთა ორი ასეული, მანგლისიდან და გუმრებიდან — ერევნელთა ბატალიონი და კოზლოვსკის პოლკის ორი ასეული, ბაშკირეთიდან — 41-ე ეგერთა პოლკის ბატალიონი 21-ე საარტილერიო ბრიგადის ორი მსუბუქი ქვემეხი; მათზე ადრე გამოცხადდნენ 250 დონის კაზაკი და 200 ბორჩალოელი მხედარი — თათარი. მოქმედი კორპუსი 2300 კაცით გაიზარდა.

რუსული იარაღის ახალი წარმატებები 30 ივლისს იზიარეს. ჯარს უმაღლესი მთავარსარდლის ბრძანება გააცნეს, რომელიც მთავრდებოდა სიტყვებით: „რამ-

დენიმე დღე და ჩვენ ვიქნებით ახალციხის კედლებს შიგნით, აზიის ამ ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან სიმაგრეში. დეარტი იყოს ჩვენი უაღლესი“

ახალციხის ალყა, რომლისთვისაც ემზადებოდა პასკევიჩი, გაბედული ნაბიჯი იყო, რადგან მოპოვებული ინფორმაცია ამტკიცებდა, რომ რუსულ კორპუსს იქ დიდი სიძნელებები და ბრძოლები ელოდა. თვითონ პასკევიჩმა ხელისუფალს შეატყობინა, რომ ახალციხე მორალური თავდაცვისათვის ემზადებოდა, რომ ციხესიმაგრეში უკვე თავმოყრილი იყო ათი ათასი კაცი და კიდევ ორმოცათასიან არმიას მოელოდნენ არზრუმელები.

მიუხედავად ამისა, რუსული კორპუსის რწმენა არ შეწყვეულა, ღვთის წყალობითა და დახმარებით ისინი მზად იყვნენ სიძნელებთან გასამკლავებლად და მამაცი ბრძოლისთვის.

ახალციხის შორიზონტზე მრისხანე საომარი ღრუბლები გროვდებოდა.

ისტორიული მემკვიდრეობა  
34-32-95  
www.geworld.net

ისტორიული მემკვიდრეობა  
34-32-95  
www.geworld.net

**გამოვიდა**  
**სამხედრო-პოპულარული**  
**ჟურნალის**  
**«ისტორიული მემკვიდრეობა»**  
**მეათე ნომერი**

ჟურნალი დღევანდლობის აქტუალურ საკითხებსაც ეხმიანება და ქვეყნის ახლო თუ შორეულ წარსულსაც ვრცლად მიმოიხილავს. პრობლემები, რომლებზეც „ისტორიული მემკვიდრეობის“ ფურცლებზე მსჯელობენ, უთუოდ მიიქცევა მკითხველთა ყურადღებას, რადგან „ისტორიული მემკვიდრეობა“ საქართველოს წარსულსა და აწმყოს ობიექტურად ასახავს. ჟურნალის რედაქტორია თამაზ შორიძე.

ისტორიული მემკვიდრეობა

ისტორიული მემკვიდრეობა

არასამთავრობო ორგანიზაცია — „ისტორიული მემკვიდრეობა“ — გამოსცის ისტორიული დოკუმენტების კრებულთა სერიას, რომელიც XVII-XIX საუკუნეების საქართველოს ისტორიის უმნიშვნელოვანეს მოვლენებს ასახავს. კრებულში გამოცხადებული მკითხველთა უარყოფითი წერილობითი, რამდენიმე პოლიტიკური კონსულტაციის გარეშე, მხოლოდ ისტორიულ ფაქტებსა და დაყრდნობით ასახავს წარსულ სინამდვილას. თუკი გავითვალისწინებთ ისტორიული ფაქტებით მნიშვნელოვან მზარდ და საუბრ ტანდემს, გამოცემა უარყოფითი და აქტუალურია. მსურველებს კრებულის შექმნის შედეგად უნდა მიმართონ და მისი მისაღებად დაგვირეკონ: 34-32-95.


# ყველა ღრის ყველაზე სასასილო 10 ფილმი

ადამიანებს, როგორც წესი, ხანდახან რეალობისგან გაქცევა, ყოველდღიური ტვირთისგან გათავისუფლება სჭირდებათ. განტვირთვის საუკეთესო საშუალებად კომედია ითვლება. სწორედ ასეთი ფილმები აიძულებს ადამიანებს, იცინონ მაშინაც კი, როდესაც შეიძლება საქმე სატირლად ჰქონდეთ. კინოს მოყვარულებმა და სპეციალისტებმა ის საუკეთესო ათეული შეადგინეს, რომლის ნომინანტებიც თვით ყველაზე სევდიან და მოლუშულ მიზანთროპსაც აუმაღლებს გუნება-განწყობილებას.

## მეათე ადგილი

### უილგლო ჯარისკაცები (Tropic Thunder), 2008 წელი

ეს არის რამდენიმე მსახიობის ისტორია, რომლებსაც ვინტანამელი ჯარისკაცების შესახებ ფილმში იღებენ. გადაღების დროს მათ ნამდვილი ნარკომოვაჭრეები უტყვენ და მსახიობებს ნამდვილი ჯარისკაცობა უწევთ. ფილმის ერთ-ერთ გმირს ნარკომოვაჭრეები იტაცებენ. თავად გატაცებული დარწმუნებულია, რომ ეს გადაღების ნაწილია, მაგრამ მისმა მეგობრებმა იციან, რომ საბრალლო მსახიობი სინამდვილეშია მძევალი და მისი გათავისუფლებაა საჭირო. „უილგლო ჯარისკაცებში“ შესრულებული მეორეხარისხოვანი როლისთვის მსახიობ რობერტ დაუნ უმცროსს 2008 წელს ოსკარი მიანიჭეს.



## მეშვიდე ადგილი

### ცხოველთა სახლი (Animal House), 1978 წელი

ეს არის ისტორია იმის შესახებ, თუ როგორ ცდილობს კოლეჯის დეკანი, საძმოს „სახლი დელტა“ ყველა წევრი სხვა ორგანიზაციის დახმარებით მოიშოროს. ამ ორგანიზაციაში თითქოსდა ყველა წევრი მდიდარი მშობლების ამპარტავანი ბავშვია. ეს ორი საძმო კი ათასგვარი ხრიკით აბსოლუტურად საწინააღმდეგო მიზნების მიღწევას ცდილობს. მთელი აურზაური განაღობული გამოსაშვები საღამოთი მთავრდება.

## მეოთხე ადგილი

### თივზი, სახელად ვანდა (A Fish Called Wanda), 1988 წელი

უმშვენიერესი ამერიკელი ვანდა თავის ოტოსთან ერთად ინგლისში ჩადის, რათა კენსა და ჯორჯს შეხვდეს და მათთან ერთად 20 მილიონ დოლარად შეფასებული ბრილიანტები მოიპაროს. საქმის წარმატებით განხორციელების შემდეგ თალითები ცდილობენ, როგორმე ყველაფერი ჯორჯს დააბრალონ, ციხეში გაუშვან და მისი წილი გაინაწილონ. მაგრამ ჯორჯმა ნადავლი დაპატიმრებამდე ცოტა ხნით ადრე სადღაც გადაშალა. იმისთვის, რომ განძს მიაგნონ, ვანდა ჯორჯის ადვოკატის მოხიბვლას ცდილობს და მხიარულებაც ამით იწყება. კევინ კლაინმა ოტოს როლის შესრულებისთვის ოსკარი დაიმსახურა.



## მეცხრე ადგილი

### ზომბი სახელად შონი (Shaun of the Dead), 2004 წელი

ეს იმ ადამიანის ისტორიაა, რომელსაც ცხოვრებაში მძიმე პერიოდი დაუდგა. სწორედ იმ დღეს, როდესაც გადანყვეტს, ძველი შეყვარებული დაიბრუნოს, ზომბი-აპოკალიფსი დგება. იმისათვის, რომ საყვარელ ქალს თავგანწირვა დაუმტკიცოს და მისი სიცოცხლეც გადაარჩინოს, შონი „გაცოცხლებულ მკვდრებს“ ებრძვის და ცდილობს, შეყვარებულთან ერთად ყველაზე უსაფრთხო ადგილამდე მიიყვანოს. ამ სისხლიანი სცენებით სავსე ფილმს შავი კომედიის საუკეთესო ნიმუშად მიიჩნევენ.



## მეექვსე ადგილი

### ქმები ბლუზები (The Blues Brothers), 1980 წელი

ქმები ჯეკი და ვინუდი ცდილობენ, როგორმე გადაარჩინონ თავიანთი საყვარელი სახლი, რომლის წართმევასაც ბანკი აპირებს. ამ სახლის მფლობელები არიან მონაზვნები, რომელთაც სახლის გამოსასყიდი ფული არ აქვთ. ამიტომ ქმები შეკრებენ თავიანთ ძველ ჯგუფს და კონცერტებით ცდილობენ სახლის გამოსასყიდი თანხის შეგროვებას. მაგრამ მიზნისკენ მიმავალ გზაზე უამრავ მტერს იჩენენ. ფილმში მონაწილეობენ ისეთი ცნობილი მუსიკოსები, როგორებიც არიან ჯეიმს ბრაუნი, რეი ჩარლზი და არეტა ფრანკლინი.



## მეხუთე ადგილი

### ოქროს ციხე-ცხელიაბა (The Gold Rush), 1925 წელი


ეს მართლაც უსახლკარო ადამიანის ისტორიაა. იგი ოქროს ციხე-ცხელიების დროს ალიასკაზე მიდის, მაგრამ გზაში ნამდვილი ოქროს — ჯორჯს გადააწყდება და მისი გულის მოსაგებად მთელი თავისი ხიბლის გამოყენებას ცდილობს. ეს ხიბლი კი ნამდვილად მოჭარბებულად აქვს. ყველგან, სადაც არ უნდა მოხვდეს, ადამიანებზე წარუშლელ შთაბეჭდილებას ტოვებს.



## მეორე ადგილი

### აეროპლანი (Airplane), 1980 წელი

ეს თვითმფრინავთა კატასტროფებზე გადაღებული ფილმების პაროდიაა. თვითმფრინავის ეკიპაჟი და მგზავრები სასიკვდილო ვირუსით ავადდებიან, ვირუსი საკვებით ვრცელდება. მაშინ, როდესაც თითქმის ალარაა გადარჩენის იმედი, აღმოჩნდება, რომ ყოფილი სამხედრო მფრინავი ტედ სტრაიკერი ერთადერთი ადამიანია, რომელიც არ დაავადებულა და რომელსაც შეუძლია, თვითმფრინავი დასვას. ფილმის თითქმის ყველა პერსონაჟი ძალზე ექსცენტრიულია. ისინი აბსოლუტურად ყველა გამონათქვამს პირდაპირი მნიშვნელობით იგებენ და შედეგად გამოდის ერთ-ერთი ყველაზე სასაცილო ფილმი კომედიების ისტორიაში.



## მესამე ადგილი

### დიდი ლეზოსკი (The Big Lebowski), 1998 წელი


ფილმის მთავარი პერსონაჟი ჯეფრი ლეზოსკი ზარმაციებისა და უსაქმურების ჩემპიონია, მაგრამ მოულოდნელად მას ზუსტად იმავე სახელისა და გვარის მილიარდელად ჩათვლიან. ჯეფრის მოსახელე მილიარდელის ცოლს „ცუდი ბიჭების“ დიდი ფული მართებს. მას შემდეგ, რაც საბრალლო ჯეფრის სახლში მილიარდელის მეგალები შეუვივებებიან და ხალიჩას გაუფუჭებენ, ზარმაციების მეფე ნამდვილ ლეზოსკის მიაკითხავს და მისგან ხალიჩისთვის კომპენსაციას მოითხოვს. მაგრამ მილიარდელსაც სჭირდება მისი დახმარება — გატაცებული ცოლის დაბრუნება სურს. ეს ცნობილი ქმები კონენების საკულტო ნამუშევარია. სულელური მოვლენები ფილმში კიდევ მრავლადაა.



## მეორე ადგილი

### მონტი პაიტონი და წილად ბრაბლი (Monty Python and the Holy Grail), 1975 წელი


ეს მეფე არტურისა და მისი რამდენიმე რაინდის ისტორიაა. ისინი წმიდა გრაალის მოსაპოვებლად მიდიან, რადგან ღმერთმა ასე უბრძანა. ამ მოგზაურობისას მაცურებელი ნელ-ნელა ეცნობა რაინდებს, რომელთაგან ერთს სერ მამაცი ლენსელოპი ჰქვია, მეორეს რობინი-არც-ისე-მამაცი-როგორც-სერ-ლენსელოპი. ფილმის ბოლომდე თითქმის ყველა რაინდი იღუპება ყველაზე სულელურ-ტრაგიკული სიკვდილით. ეს აბსურდული იუმორის შედეგია, რომელიც სახელგანთქმულმა კომიკ-ჯგუფმა „მონტი პაიტონმა“ შექმნა.



## პირველი ადგილი


### დოქტორი სტრანგილა-ვი, ანუ როგორ ვინაწავლა, არ ვიღებო და როგორ შევიწყვარა ატომური ბომბი (Dr. Strangelove or: How I Learned to Stop Worrying and Love the Bomb), 1964 წელი

ეს გენერალ ჯეკ რიპერის ისტორიაა. გაგიჟების შემდეგ იგი გადაწყვეტს, შეიარაღებული ძალები საბჭოთა კავშირის დაბომბვისთვის გამოიყენოს. საბჭოთა კავშირიც და აშშ-ც კრიზისის გადაჭრას ცდილობენ, მაგრამ გენერალი აცხადებს, რომ მხოლოდ ერთ ადამიანთან სურს საუბარი. თუ ისიც ვერ შეძლებს რიპერის შეჩერებას, პლანეტა დალუპვას ვერ გადაურჩება. მიუხედავად ამ, ერთი შეხედვით ტრაგიკული, სიუჟეტისა, ფილმი ყველა დროის საუკეთესო კომედიადაა მიჩნეული.




# ყველაზე ჭკვიანი ადამიანების ყველაზე სულეური გამონათქვამები

შეცდომა ყველას მოსდის. მაგრამ ხანდახან ავტორიტეტები ძალზე თავდაჯერებით უმტკიცებენ ადამიანებს იმას, რაც გარკვეული დროის შემდეგ უდიდეს სისულელედ იქცევა ხოლმე. ამ ფრაზების ავტორებს, ალბათ, ერჩიათ, არასდროს ეთქვათ ისინი, ანდა მხოლოდ ახლობლებისთვის, ჩუმად გაენდოთ საკუთარი მოსაზრებები და საქვეყნოდ არ ეყვირათ. ამ სიაში გამოგონებების, აღმოჩენებისა და მომავლის შესახებ ყველაზე არასწორი პროგნოზები მოხვდა.



**ლორდი კელვინი, ინგლისელი ფიზიკოსი და მათემატიკოსი:** „რადიოს მომავალი არ აქვს.“

წყობილობა ჩვენთვის არანაირ ღირებულებას არ წარმოადგენს.“



**ლი დე ფორსტი, ამერიკელი პიონერი რადიოს სფეროში, 1926 წელი:** „როდესაც ტელევიზია როგორც თეორიულად, ასევე ტექნიკურადაც შესრულებადი საკითხი გახდება, დარწმუნებული ვარ, რომ საამისოდ საკმარისი ფინანსები არ იარსებებს. ეს არის გამოგონება, რომელზეც დრო არ უნდა დავკარგოთ.“




**„WESTERN UNION“-ის თანამშრომლის ჩანაწერი, 1878 წელი:** „ამ ტელეფონს“ ძალიან ბევრი ნაკლი აქვს საიმისოდ, რომ ის კავშირის პრაქტიკულ საშუალებად ჩაითვალოს. ეს მო-



**შურნალ „BOSTON POST“-ის მიერ გამოქვეყნებული სტატიის ნაწყვეტი, 1865 წელი:** „სპეციალისტები დარწმუნებულნი არიან, რომ კაბლების საშუალებით ხმის გადაცემა არარეალურია, მაგრამ რომც მოხერხდეს, ეს არანაირ სარგებელს არ მოიტანს.“



**საიმონ ნიუჰომი, ამაიკელი ასტრონომი:** „ცნობილი ნივთიერებების მანქანათმშენებლობის ცნობილი ტიპებისა და ცნობილი ძალების არანაირი შესაძლო კომბინაცია არ შეიძლება აიწყოს ერთ მანქანად, რომელიც ადამიანს უდიდეს დაშორებებზე ჰაერში ფრენის საშუალებას მისცემს.“



**მარშალი ფარდინანდ ფოში, ფრანგი სამხედრო სტრატეგი და სარდალი პირველი მსოფლიო ომის დროს:** „თვითმფრინავები საინტერესო სათამაშოებია, მაგრამ მათ ვერანაირად ვერ გამოიყენებ შეიარაღებაში.“



**დოქტორი დიონანისი ლარდნერი, ფილოსოფიისა და ასტრონომიის პროფესორი (1793-1859):** „დიდი სიჩქარით მატარებლით მოგზაურობა შეუძლებელი იქნება, მგზავრები იმის გამო დაილუპებინან, რომ სუნთქვა არ შეეძლებათ.“




**როზარტ მითკალფი, ინტერნეტის გამომგონებელი:** „1996 წელს ინტერნეტი არსებობას შეწყვეტს.“



**შურნალი „POPULAR MECHANICS“, 1949 წელი:** „მომავალი კომპიუტერების ნონა 1,5 ტონას არ აღემატება.“



**ჯონ ჯონ ნიუმანი, უნგრელი მათემატიკოსი:** „ჩვენ მივალნიეთ ყველაფერს, რისი მიღწევაც კი შეიძლება კომპიუტერების განვითარებაში.“



**ალბერტ აინშტაინი, ნობელის პრემიის ლაურეატი ფიზიკის დარგში:** „არ არსებობს არანაირი ნიშანი იმისა, რომ ოდესმე ბირთვული ენერჯის გამოყენებას შეეძლებენ.“

# მსოფლიოს ყველაზე უხნაური კანონები

საფრანგეთში ღორისთვის ნაპოლეონის დარქმევა კანონით იკრძალება; ფლორიდაში გასათხოვარ ქალებს კვირაობით პარაშუტიანი ხტომის ნება არ აქვთ; ბრიტანეთში ორსულ ქალს უფლება აქვს, პოლიციელს ქუდი სთხოვოს, თუ სიახლოვეს ბუნებრივი მოთხოვნილების დაკმაყოფილებისთვის სხვა საშუალება არ მოიძებნება. მაგრამ მსოფლიოში არსებობს ბევრად უფრო უცნაური კანონები, რომელთაგან „საუკეთესობის“ არჩევა სულაც არაა იოლი საქმე.



**იტალია**  
სპეციფიური, მაგრამ ამავე დროს სავსებით ლოგიკური კანონის თანახმად, ვენეციაში ძველი შენობების შესანარჩუნებლად მტრედებისთვის საჭმლის დაყრა აკრძალულია. ასევე აკრძალულია პერანგის გარეშე გამოჩენა საზოგადოებრივ ადგილებში და ტროტუარზე ჩამომჯობა სენდვიჩის ჭამისას. პალერმოში პლაჟზე აბსოლუტური გაშიშვლების უფლება მხოლოდ ქალებს აქვთ. ქალაქ ტროპეაში მოქმედი კანონის მიხედვით, „მსუქან, მახინჯ ან ულამაზო ქალებს პლაჟზე გახდა ეკრძალებათ“. სამაგიეროდ, ამის უფლება აქვთ „ახალგაზრდა ქალებს, რომლებიც იმსახურებენ ქალის სხეულის მშვენიერების წარმოჩენის უფლებას“. ამ კანონის შესაბამისად, პოლიციელები იძულებულნი არიან, გადაწყვიტონ, რომელი ქალი როგორ უნდა გამოჩნდეს პლაჟზე.



**ბერმანია**  
გერმანიაში მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, ავტობანზე მანქანის გაჩერება სასტიკად აკრძალულია იმ შემთხვევაშიც კი, თუ მანქანას ბენზინი გამოეღია.

**არაბეთის გაერთიანებული საემიროები**  
მათ, ვინც წმინდა თვის, რამადანის, პერიოდში აპირებს ამ ქვეყანაში მოგზაურობას, აუცილებლად უნდა იცოდნენ, რომ ამ დროს მთელი ქვეყნის მასშტაბით აკრძალულია საზოგადოებრივ ადგილებში საჭმლისა და სასმელის მოხმარება.

**ტაილანდი**  
ქვეყნის კანონით ფულის ფეხქვეშ გათევვა იკრძალება. საქმე ისაა, რომ უკლებლივ ყველა კუპონურასა და მონეტაზე მეფის სურათია გამოზახული, მასზე დაბეჯება კი მონარქისადმი უპატივცემულობად ითვლება და ციხისკენ მიმავალი ერთ-ერთი უმოკლესი გზაა.



**შოტლანდია**  
ამ ქვეყნის მოქალაქეები ვალდებული არიან სახლში შეუშვან ყველა, ვინც დააკაკუნებს და საპირფარეოთი სარგებლობის ნებართვას ითხოვს. გარდა ამისა, ქალაქ იორკში ნებადართულია მოკლა შოტლანდიელი, თუ მას მშვილდი და ისარი აქვს.



**შვეიცარია**  
ამ ქვეყანაში იმდენად ზრუნავენ სიმყუდროვეზე, რომ ათი საათის შემდეგ უნიტაზის ხმაურით ჩარეცხვა აკრძალულია. სამაგიეროდ, უნდა აღინიშნოს, რომ თანამედროვე შვეიცარული სანტექნიკა ამ კანონის დარღვევას, პრაქტიკულად, შეუძლებელს ხდის.



**დანია**  
ქვეყანაში ყველა მანქანამ ანთებული ფარებით უნდა იაროს. ეს იმისთვისაა საჭირო, რომ დანარჩენებმა გაჩერებულ და მოძრავი მანქანების ერთმანეთისგან განსხვავება შეძლონ.

### საჩუქარი უკანის არდახნაულს



ფლორიდელმა პასტორმა ტერი ჯონსმა, რომელმაც საბოლოოდ გადაიფიქრა 11 სექტემბრის ტერაქტების წლისთავზე ყურანის დაწვა, საჩუქრად ავტომანქანა მიიღო. როდესაც მსოფლიოს ნამყვანი ლიდერები სკანდალის ჩახშობას ათასნაირი შეგონებით ცდილობდნენ, ნიუჯერსელმა ავტოდირექტორმა ბრედ ბენსონმა ადგილობრივ რადიოში განათავსა სარეკლამო როლი, რომელშიც პირობას დებდა, რომ, თუ ჯონსი მუსლიმანთა წმიდა წიგნის დაწვაზე უარს იტყვოდა, „Hyundai Accent“-ის 2011 წლის მოდელს აჩუქებდა. ბენსონის გაცემას საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც პასტორის წარმომადგენლები დაუკავშირდნენ და ჰკითხეს, როდის შეიძლება ავტომანქანის მიღება. ჯონსი ირწმუნება, რომ ყურანის დაწვა ავტომობილის ხათრით არ გადაუფიქრებია და რომ საჩუქრის შესახებ სკანდალიდან რამდენიმე კვირის შემდეგ შეიტყო. ავტოდირექტორმა რადიომსმენელებს მიმართა კითხვით, ღირს თუ არა პასტორისათვის დანაპირების შესრულება და მას შემდეგ, რაც 2600 მსმენელიდან უმრავლესობამ პირობის შესრულება ურჩია, პასტორისათვის 14 200-დოლარიანი საჩუქრის გადაცემა საბოლოოდ გადაწყდა.

### შეხველი მოგზაურობა



საზღვაო მოგზაურობების ორგანიზებაზე ორიენტირებულმა ბრიტანულმა ტურისტულმა კომპანიამ „eWaterways“-მა უჩვეულო კრიზისის ანონსი გამოაქვეყნა. ფირმა თავის კლიენტებს სთავაზობს, შიშველები გაემგზავრონ სკიდედიან მოგზაურობაში. ეს სიამოვნება მსურველებს სულ რაღაც 500 ფუნტი სტერლინგი დაუჯდებათ. ადრიატიკის ზღვაში „შიშველი“ მოგზაურობისას ტურისტები ქალაქებსა და კუნძულებსაც მოინახულებენ, მაგრამ, ვინაიდან დაეგმილ მარშრუტზე უამრავი ნუდისტური პლაჟია, მოგზაურებს სიშიშვლის გამო დისკომფორტი არ შეექმნებათ. კომპანიის წარმომადგენლების განცხადებით, კრუიზში მგზავრები მუდმივად შიშველები იქნებიან, სამოსს კი მხოლოდ მაშინ ჩაიცვამენ, როდესაც სადილად დასხდებიან. ფირმა დარწმუნებულია, რომ შიშველი მოგზაურობა უამრავ ევროპელს დაინტერესებს, მაგრამ, ძირითადად, გერმანელების იმედი აქვს, რადგან მათ შორის ყველაზე მეტი ნუდისტია.

### ჩილელი მუშახტები გადამკრეანებთან ფეხბურთს ითამაშებენ



ჩილელი მუშახტები, რომლებიც დიდი ხნის შემდეგ იხსნეს მინისქვეშეთიდან, თავიანთ გადამკრეანებთან ფეხბურთს ითამაშებენ. ამ იდეის ავტორი, არც მეტი, არც ნაკლები, ქვეყნის პრეზიდენტი სებასტიან პინიერა გახლავთ. „გამარჯვებულები პრეზიდენტის სასახლეში მიიღებენ, დამარცხებულები კი შახტაში დაბრუნდებიან“, — იხუმრა პრეზიდენტმა. საგარეუდოდ, მატჩი 25 ოქტომბერს გაიმართება. მუშახტების გუნდის კაპიტანი 80-90-იან წლებში პიროფსიონალი ფეხბურთელი ფრანკ ლობოსი იქნება. ამჟამად ყველა მუშახტე საავადმყოფოშია. შეგახსენებთ, რომ საუბარია იმ 33 მუშახტეზე, რომლებიც 5 აგვისტოს სან-ხოსეს შახტაში 700 მეტრის სიღრმეზე ავარიის შედეგად ჩაიკეტნენ და მინის ქვეშ 70 დღე გაატარეს.

# ბოსნია: «კვაზისახელმწიფო-საერთო სასოვრებალი» დასავლეთის მხარეთალოვის ქვეშ

ბოსნიასა და ჰერცეგოვინაში ახლახან საპარლამენტო არჩევნები ჩატარდა. ამ მოვლენამ კიდევ ერთხელ დააყენა დღის წესრიგში საკითხი — ერთიანი დარჩება ქვეყანა თუ ნაწილებად დაიშლება. ფორმალურად, დღევანდელი ბოსნია ორი წარმონაქმნის — ბოსნიისა და ჰერცეგოვინის მუსლიმანურ-ხორვატული ფედერაციის (სადაც ორივე თემს საკუთარი ნაციონალური პარტია ჰყავს) და სერბული რესპუბლიკის კონფედერაციაა. ამ ნაწილებიდან უკლებლივ ყველას თავისი პრეზიდენტი, პარლამენტი და მთავრობა ჰყავს. საერთო-სახელმწიფოებრივი საქმეებით კი დაკავებულია ბოსნიისა და ჰერცეგოვინის პრეზიდენტი, რომელშიც სამივე თემის თითო წარმომადგენელი შედის. შესაბამისად, ქვეყნის პრეზიდენტები რიგრიგობით ხდებიან მუსლიმანები, სერბები და ხორვატები.



ცხადია, ბოსნიის ხალხებს თანაცხოვრების ამგვარი სქემა თავად არ შეუქმნიათ — სასელმწიფოებრივი წყობა 1995 წლის მშვიდობის ხელშეკრულების შედეგად შეიქმნა, ამ შეთანხმების ტექსტში კი ლამის მთლიანად აშუშადა ავტონომიის შესახებ. მაშინ დასავლეთმა გადაწყვიტა, რომ სამ ხალხს, რომლებიც ოთხი წლის მანძილზე განუწყვეტლივ ომობდა ერთმანეთთან, მაინც ერთ სახელმწიფოდ უნდა ეცხოვრა ყოფილი საბჭოთა იუგოსლავიური რესპუბლიკის, ბოსნიისა და ჰერცეგოვინის საზღვრებში. შესაბამისად, სერბებს ჩამოერთვათ სერბეთთან შეერთების უფლება, ხორვატებს — ხორვატიასთან, მუსლიმანებს კი კატეგორიულად აეკრძალათ საკუთარი მონოეთნიკური სახელმწიფოს შექმნა.

ბოსნიელი ხორვატებისთვის ეთნიკური სამშობლო, ცხადია, ბევრად უფრო პერსპექტიულად გამოიყურება. განსაკუთრებული თემაა ბოსნიელი სერბები, რომლებიც 90-იან წლებში პრაქტიკულად ყველაფერს აკეთებდნენ იმისთვის, რომ ბოსნია მავნიდელ „დიდ“ იუგოსლავიას საბოლოოდ არ გამოეყოფოდა.

ბოლო დროს სერბული რესპუბლიკის ავტონომია თანდათან მცირდება და ამის გამო სერბები მიიჩნევენ, რომ ანალოგიურად მცირდება მათი უფლებებიც. მას შემდეგ კი, რაც დასავლეთის ქვეყნების უმეტესობამ კოსოვოს დამოუკიდებლობა აღიარა, სერბი პოლიტიკოსები სულ უფრო აქტიურად ალაპარაკდნენ ბოსნიიდან გამოყოფის შესახებ.

სერბული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრმა მილორად დოდამ მრავალჯერ აღნიშნა, რომ ბოსნია და ჰერცეგოვინა, როგორც ერთიანი სახელმწიფო, სიცოცხლისუნაროა. მართალია, უკანასკნელი 15 წლის მანძილზე ბოსნიის მიწაზე სისხლი აღარ იღვრებოდა, მაგრამ სამი თემის — მუსლიმანების, სერბებისა და ხორვატების — ურთიერთობა კვლავ უკმაყოფილოა და დანარჩენების ისტორიული დანაშაულებების გამო.



პარლამენტის შენობა სარაევოს ცენტრში 1992 წლის ომის დროს



ამ ფონზე მხარეებს შორის რაიმე შეთანხმების მიღწევის იმედი, პრაქტიკულად, წულის ტოლია და ამის გამო ბოსნია და ჰერცეგოვინა უფრო საერთაშორისო პროტექტორატს ჰყავს, ვიდრე დამოუკიდებელ სახელმწიფოს. **ქვეყანაში რეალური ძალაუფლება საერთაშორისო უმაღლესი კომისიის ხელშია, ის კი ბაიერს თანხმობით ინიშნება.**

ბოლო დრომდე უმაღლეს კომისრად მხოლოდ ევროკავშირის ქვეყნების წარმომადგენელი ინიშნებოდა და მას ენიჭებოდა უმაღლესი არბიტრის ფუნქცია თემთა შორის სადავო საკითხების მოგვარებისას. ის ეუბნება ადგილობრივ პოლიტიკოსებს, როგორ უნდა მოიქცნენ ამა თუ იმ სიტუაციაში და აკონტროლებს არჩევნებს.

დასავლეთის ინტერესები, რისი განმზოვრებელიც არის რეალურად უმაღლესი კომისარი, დიდი ხანია, ცალსახად განისაზღვრა. ავტონომიების გაფართოების საკითხი საერთოდ არ განიხილება, პირიქით, აშშ და ევროკავშირი ყველაფერს აკეთებენ იმისთვის, რომ ბოსნია გახდეს რაც შეიძლება ცენტრალიზებული სახელმწიფო, რომელსაც კვლავაც უმაღლესი კომისარი უმაღლესობა უნდა.

ეკსპერტები მიიჩნევენ, რომ თანამედროვე სერბეთი დასავლური პროექტია და დასავლეთი აბსოლუტურად დიდად ერევა მის საქმეში. დამოუკიდებელ არჩევნებსა და ქვეყნის შიდა საქმეებში ჩაურევლობის პრინციპებზე საბოსნიელი ხორვატების ლიდერები და ხორვატიის ხელმძღვანელობა თანდათან უარს ამბობენ თავიანთ ნაციონალურ მოთხოვნებზე და ბოსნიის ცენტრალიზებული

მმართველობის იდეას თანხმდებიან. სერბეთის პროდასავლური ხელისუფლება კი, უკვე დიდი ხანია, პრაქტიკულად მხარს არ უჭერს სერბულ რესპუბლიკას.

ეს ყოველივე კი იმის ნიშანია, რომ ამჟამინდელი განლაგების პირობებში ბოსნიისა და ჰერცეგოვინის დაშლა, პრაქტიკულად, შეუძლებელია. იგივე ევროკავშირი ბოსნიასა და ჰერცეგოვინას საკუთარ რიგებში მიღებას პირდაპირ, ცხადია, — სამომავლოდ და არა უანგაროდ. სამისოდ ადგილობრივი სერბები და ხორვატები ცენტრალიზებულ სახელმწიფოს უნდა დათანხმდნენ და სამუდამოდ უარი თქვან თავიანთ ნაციონალურ სახელმწიფოებთან მიერთების გეგმებსა თუ ოცნებებზე.

რაც შეეხება მუსლიმანებს, მართალია, ისინი ქვეყნის მოსახლეობის თითქმის ნახევარს შეადგენენ, მაგრამ გარედან მხარდაჭერის გარეშე თავს ქვეყნის სრულფასოვან ბატონ-პატრონებად მაინც ვერ იგრძნობენ. აქედან გამომდინარე, თავისთავად დგება აშშ-ისა და ევროკავშირის მიზანმიმართული პოლიტიკის საკითხი, შექმნან ბალკანეთში თავიანთ კონტროლს დაქვემდებარებული ისლამური სახელმწიფო.

დასავლეთის გეგმები კი გარკვეულია, მაგრამ ყველაფერიდან ჩანს, რომ ბოსნიასა და ჰერცეგოვინაში სამი ხალხი სიყვარულის ან თუნდაც ანგარიშობის საფუძველზე კი არა, იძულებით ცხოვრობს ერთად. როგორც ამბობენ, იმ 200 000 ადამიანის ოჯახებში, რომლებიც 1992-1995 წლებს ომს შეიძინეს, დღესაც ინახება იარაღი, რომლის ჩაბარებასაც არაფერს აპირებს.

ახლა მშვიდობა დასავლეთის ძალების მიერაა უზრუნველყოფილი, მაგრამ სამი ერთმანეთის მოსისხლე ხალხის ერთობის მაიძულებელი დასავლური პოლიტიკა, შესაძლოა, ახალი სასაკლაოსკენ მიმავალი უმოკლესი გზა აღმოჩნდეს.

# არჩევნები ბრაზილიაში და აშშ-ის სპეცსამსახურები

ბოლო დროს ვაშინგტონი განსაკუთრებული პატივისცემით ეპყრობა ბრაზილიას. იმ საქვეყნო ნოტაციებისა და სანქციების ფონზე, რომლებიც მუდმივად უხვად აქვს ლათინური ამერიკის „დემოკრატიულად უმნიშვარი“ სახელმწიფოებისთვის, ბრაზილიისადმი ესოდენი ლოიალობა, მარტივად რომ ვთქვათ, საექვოდ გამოიყურება.

როგორც ცნობილია, „უმნიშვართა“ კატეგორიას ვაშინგტონმა ჯერ კიდევ ბუშ-უმცროსის ეპოქიდან ის ქვეყნები და „პოპულისტური რეჟიმები“ განაკუთვნა, რომლებიც აშშ-ის თვალში შეიცვინებინა გარეშე ცდომილებიდან საკუთარი ეროვნული ინტერესების დაცვას. ბრაზილია ლუის ინასიუ ლულა და სილვას რეგენიანი მმართველობის პერიოდში უმკაცრესად იცავდა საკუთარ სუვერენიტეტს და დამოუკიდებელი პოლიტიკის პრინციპებს უფრთხობდა საგარეო ურთიერთობათა არენაზე. ბევრი მიიჩნევდა, რომ, ადრე თუ გვიან, ბუშს მოთმინების ფაბლა აეცხებოდა და ლულას საკუთარ ადგილს მიუჩნედა, მაგრამ მსგავსი არაფერი მომხდარა. თმთრი სხლის ძორკამბა ვარ ბაბადას, ლათინურ ამერიკაში კიდეც პრტი კონფლიქტი ნამოქმეცხთ, მამონ, რომელმაც ვინაშაულისგანაც საკამარისზე მემტი თავის ტიპილი ჰქონდათ ბარანილი.

2010 წლის მარტში ბრაზილიაში აშშ-ის საელჩოს დიპლომატიურ და „სპეციალურ“ პერსონალთან შეხვედრისას სახელმწიფო მდივანმა ჰილარი კლინტონმა განაცხადა: „ობამას ადმინისტრაციაში ყველა ვცდილობთ, გავაღრმავოთ და გავაფართოვოთ ურთიერთობები მთელ რიგ სტრატეგიულად მნიშვნელოვან ქვეყნებთან და ბრაზილია ამ სის სათავეშია. ეს ქვეყანა მართლაც იმსახურებს ყურადღებას, რადგან მთელი ძალით ცდილობს, შეარულოს საკუთარი ხალხისთვის უკეთესი მომავლის შექმნის პირობა და ამიტომ აშშ-მა და ბრაზილიამ ამ ნახევარსფეროს ყველა ხალხს ერთად უნდა დაანახონ სწორი გზა“.

ჰილარიმ თითქოს აღიარა ბრაზილიის უფლება, აშშ-თან ერთად „უჩვენოს სწორი გზა“ კონტინენტის სხვა ხალხებს, მაგრამ ვაშინგტონის აზრით, ლათინოამერიკელთა „სწორი გზა“ კონტინენტზე ყველაზე აირი სოციალისტური გადანყოფილია.



ბის მცდელობის ჩახშობას, აშშ-ის მონაწილეობის გარეშე ყველაწირ ინტეგრაციულ პროექტზე უარის თქმას, სამხრეთამერიკული თავდაცვის შესაქმნელად „პოპულისტების“ ჩანაფიქრების ბლოკირებასა და რეგიონში ჩინეთის ფინანსურ-ეკონომიკური ექსპანსიის შეზღუდვას ნიშნავს.

ამიტომ, არჩევნების წინ აშშ-მა ბრაზილიაში ახალი ელჩი — მტრედის ბუმბულში შემოსილი ქორი, მდიმწონიანი დიპლომატი, ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე ლათინური ამერიკის ქვეყნების მიმართულებით სახელმწიფო მდივნის მოადგილედ ნამუშევარი ტომას შენივი გაგზავნა.

შენიმა ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ პრეზიდენტ ლულა „სწორი გზის“ პოსტულატებზე გადაფერთო, ვაშინგტონმა საამისოდ მთელი რიგი „კონსტრუქციული ნაბიჯები“ გადადგა. მაგრამ ლულა „ჭეშმარიტ გზაზე“ ვერ მოაქციეს. იგი უფრთხად განაგრძობდა მეგობრობას უფო ჩავესსა და იგო მორალესთან, ჩადიოდა ჰავანასა და თეირანში, გმობდა პროამერიკულ გადატრიალებას ჰონდურასში და ნაციონალური ატომური ენერჯის განვითარების გეგმებზე საუბრობდა. ამ ყველაფრის შემდეგ კი თავისი საქმის გამგრძელებლად დილმა რუსეფი აირჩია და ვაშინგტონს საერთოდ თავზარი დაეცა. ამ ქალ ბიოგრაფიაში შავით თეთრზე უწერია, რომ მრავალი წლის შემდეგაც კატეგორიულად უნდა სთუდდეს ამერიკა. იგი ჯერ კიდევ 70-იან წლებში კომპარტიასთან კავშირისა და პარტიზანულ ორგანიზაცია „Vanguardia Armada Revolucionaria“-ში არაღელაური მუშაობისთვის დააკავეს, სამი წლით ციხეში გამოკეტეს, იქ კი ცსს-სა და „ამერიკული სკოლის“ მეთოდებით არაერთხელ აწამეს.

ათწლეულები ამ ტკივილის დასავინყებლად საკმარისი არაა. დილმა რუსეფის მომხრეების თავდაპირველი ტრიუმფალური განწყობაც მიწელდა, მეორე ტური დიდ ძალისხმევას მოითხოვს, მონინაადმეფის მხარეს ხომ, თუნდაც საიდუმლოდ და დაფარულად,

სწორედ ამ რუსეფის მხარეს იყო წარმატება ნინასარჩევნოდ. ამერიკულმა აბინტს-



რამ და ძველი გამოცდილების საფუძველზე ცსს-მაც კი დაადასტურეს, რომ „შანა დაკადა“ წოდებული შრომის პარტიის კანდიდატი დილმა რუსეფი მარტივად არასდროს დათანხმდებოდა.

დილმამ ცალსახად დაადასტურა, რომ პრეზიდენტ ლუნას კურსს განაგრძობდა. ცსს-ს სხვა გამოსავალი აღარ რჩებოდა — ელექტრონული და ბექდევითი მედია მისი „ექსტრემიზმის“ შესახებ ინფორმაციით გაივსო.

განსაკუთრებული მონდობებით ვრცელდებოდა ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ ესხმოდა დილმა თავს ბანკებს იმისთვის, რომ ბრაზილიაში „ტერორისტების დასაფინანსებლად“ სახსრები მოეპოვებინა. დიდი წარმატებით მოიქმნენ „მონმეები“ და „თვითმხილველებიც“. ყველაფერი ამერიკელების დიდი ხნის პროტეჟეს, ჟოზე სერას გამარჯვებისკენ მიდიოდა, მაგრამ პრეზიდენტ ლულა დროულად ჩაერია სიტუაციაში და მდგომარეობა თითქოს დასტაბილურდა, მაგრამ რუსეფმა არჩევნების პირველ ტურში გამარჯვება მაინც ვერ მოიპოვა — მას ხმების 3-4% ერგო.

ახლა მთავარი ამომრჩეველთა ის 19%-ია, რომელმაც პირველ ტურში მესამე კანდიდატს, „მწვანეების“ წარმომადგენელ მარინა სილვას მისცა ხმა. აშშ-ის ელჩის, შენივის „ჩრდილოვანი“ რაზმების ყველაფერს გააკეთებენ, რათა სერასა და სილვას შორის ალიანსს მიაღწიონ.

დილმა რუსეფის მომხრეების თავდაპირველი ტრიუმფალური განწყობაც მიწელდა, მეორე ტური დიდ ძალისხმევას მოითხოვს, მონინაადმეფის მხარეს ხომ, თუნდაც საიდუმლოდ და დაფარულად,

მაგრამ ცალსახად და დაჟინებით, იბრძვის მთელი იმპერია თავისი ფინანსურ-ორგანიზაციული და საკადრო პოტენციალით. ამ იმპერიამ კი არაერთხელ მოუტანა გამარჯვება კანდიდატს, რომლის მხარესაც მის მეტი არავინ იყო. ბრაზილიის წამყვანი მასმედია, უდიდესი გამოცემები და მთავარი ტელეარხები უკვე დაკავდნენ მისი კანდიდატის „დამუშავებით“.

შენიწისა და მისი რაზმის ამოცანაა, შიქმანს საჭირო პირობები იმისთვის, რომ ბრაზილიის ხალხს უფლებაში მარტივად მისწავლინა „შეთანხმების“ მისწავლი. ამ მხრივ „მწვანეთა“ პარტიას „მწვანეები“ პერსპექტივები აქვს — ცსს-ს რეზიდენტურას მასში მყარი ოპერატიული პოზიციები უჭირავს, რაც აშშ-ის მხრიდან ბრაზილიის ეკოლოგიური პრობლემებისადმი დიდი ხნის დანიტერესებით აიხსნება. ახლა ძველნაში მოქმედი ამერიკული სპეცსამსახურები „მწვანეთის“ ლიდერებთან მუშაობაზე არიან ორიენტირებული, მაგრამ მათი კანდიდატი მარინა სილვა 2008 წლამდე ლულას მთავრობაში მუშაობდა, ამდენად, მწვანეების ელექტორატის გადაბრების არანაკლები მანისი ლულას კურსის გამგრძელებელ დილმა რუსეფსაც აქვს.

უშუალოდ „საველე სამუშაოებისთვის“ — თვალთვალის, სახლებში შეძრომის, „დასამუშავებელი ობიექტების“ კომპიუტერებიდან ფაილები კოპირების, შანტაჟისთვის საქმეების მომზადებისა და მსგავსი საქმეებისთვის ამერიკის სპეცსამსახურები ახლა იმ ბრაზილიელ პოლიციელებს იყენებენ, რომლებიც ამა თუ იმ მიზეზით აღარ მუშაობენ პოლიციაში. ამერიკის აბინტსურა მუშაობს ბრაზილიის უკლებლივ ყველა სამინისტროში, სადაზვერვო და კონტრადაზვერვის ორგანოებში, მსოფლიოდ აშშ-ის საელჩოს შარკავს ცსს-ს მინიშრო 40 თანამშრომელი ბუფოს.

ახლა, მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო დეპარტამენტის საერთო გეგმის მიხედვით, მთელ მსოფლიოში დიპლომატიური წარმომადგენლობების შემცირება გათვალისწინებულია, ბრაზილიისთვის გამოწაკლისი დიშვა და ქვეყნის 10 უდიდეს ქალაქში აშშ-ის ახალი საკონსულოების გახსნა იგეგმება. ბრაზილია 15-20 წელიწადში, შესაძლოა, აშშ-ის რეალურ საპრონუნდ იქცეს დასავლეთ ნახევარსფეროში. ასე რომ, ამერიკა მასზე „მუდმივი მზრუნველობისთვის“ კიდევ უამრავ გამოწაკლის დაუქმებს.

## ქალური უკვდავა



როტველერი სახელად მია რამდენიმე წელი ავადმყოფობდა და მისმა პატრონმა მეთ ოლივერმა მისთვის სასიკვდილო ინექციის გაკეთება გადაწყვიტა. ცხოველისთვის ტანჯვის შემსუბუქების მიზნით დეტროიტის გარეუბნის მკვიდრმა ის ვეტერინარულ კლინიკაში წაიყვანა და სასიკვდილო ინექცია გაუკეთა, შემდეგ კი სახლი წამოიყვანა, რათა გამომწვიდობოდა და დაემარხა.

მაგრამ რამდენიმე საათის შემდეგ მია გამოიღვიძა. საბრალო ოლივერესს შიშისაგან ელდა ეცა, როგორც თავად ამბობს, თავი საშინელებათა ფილმში ეგონა. კლინიკაში დაადგინეს, რომ ძალი ნამდვილად ცოცხალია და საშინელებათა ფილმების მოჩვენებები არაფერ შუაშია. ამის შემდეგ პატრონმა მისთვის განმეორებით პროცედურის ჩატარების გადაწყვეტილება ვეღარ მიიღო და გადაწყვიტა, ვინაიდან თავად სათანადოდ ვერ უვლის, ძალს ახალი პატრონი მოუძებნოს.

## აპრიკალაბა ნათესაის ფაფი გაყიდვს



ფლორიდის შტატში მცხოვრებმა წვეილმა შეცდომით თავიანთი ნათესავის ფერფლი გაყიდეს. როგორც ისტორიის მთავარი მოქმედი გმირი პაიპერ გაფრი ყვება, ბებუის ფერფლი შემთხვევით აღმოჩნდა წვეილმანების ბაზრობაზე, რომელიც მან საცხოვრებელი ადგილის შეცვლის გამო მეუღლესთან ერთად მოაწყო. საქმე ისაა, რომ ქალმა იების ქოთანს ძირში ბებუის ფერფლი ჩაუყარა, შემდეგ ქოთანში ის გაახარა, წვეილმანების გაყიდვისას კი სხვა დანარჩენ ნივთებს ეს ქოთანიც თან გააყვოდა.

პაიპერი ამბობს, რომ ეს იები ბებუის საყვარელი ყვავილები იყო და ამიტომაც გადაწყვიტა, მის ფერფლზე სწორედ ია ეხარებინა, მაგრამ მისმა ქმარმა ამის შესახებ არაფერი იცოდა და ია დანარჩენი წვეილმანებივით გაყიდა. ამის შემდეგ პაიპერმა „Facebook“-ში საკუთარ გვერდზე განათავსა ეს ისტორია და იის ახალ მფლობელს სთხოვა, კარგად ეზრუნა ყვავილებზე. სულ მალე ბებუის ფერფლი კანონიერ მფლობელებს დაუბრუნეს.

## თვითნაკიკაული ვაპიკაუი



არიზონას მკვიდრი — ამანდა უილიამსონი და აარონ ჰომერი დარნმუნბული არიან, რომ ადამიანთა სისხლით უნდა იკვებონ. პოლიციამ ისინი მაშინ დააკავა, როდესაც თავიანთ საბრალო მეზობელს „საკვების“ მოპოვების მიზნით დაესხნენ თავს და დანი რამდენიმე წრილობა მიაყენეს.

თავდასხმის მსხვერპლი, 25 წლის რობერტ მაილი ამბობს, რომ თვითნაკიკაული ვამპირები იძულებულნი გახდნენ, ძალა გამოეყენებინათ, ვინაიდან ნებაყოფლობით სისხლის მიცემა მან თავად არ ისურვა. არადა, თავიდან თანახმა იყო, მაგრამ შემდეგ რატომღაც გადაიფიქრა. დაჭრილმა მაილიმ გარეთ გაქცევა მოახერხა და მის შესახებ პოლიციას აცნობეს. პოლიციასთან ვამპირებმა სიმართლე არ აღიარეს, 21 წლის უილიამსონმა განაცხადა, რომ მაილი თავად დაესხა თავს გოგონას და ის მხოლოდ თავს იცავდა. „ვამპირებმა“ სამართალდამცავები ვერ დაარწმუნეს და საპატიმროში ამოყვეს თავი.

საინფორმაციო  
ანალიტიკური  
სააგენტო



უნივერსალური წყალი  
„ისიდა“



მათვის, ვისთვისაც  
კვირვასია ჯანმრთელობა

სუფრის წყალი „ისიდა“ აკმაყოფილებს ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის („ჯანმო“) მოთხოვნებს. სერტიფიცირებულია და დღიური ნორმის ოდენობით შეიცავს ადამიანისთვის აუცილებელ და შეუცვლელ მიკროელემენტებს (J, F, Mn, Ca, K, Mg, Na, Zn).

**ქ ი ო დ ი** — ხელს უწყობს დედის ორგანიზმში ნაყოფის განვითარებას (დეფიციტი იწვევს კრეტინიზმს); მოქმედებს მოზარდის ნორმალურ განვითარებაზე; იცავს ადამიანს ჩივივისგან; მოქმედებს გულსისხლძარღვთა და ცენტრალურ ნერვულ სისტემაზე.

**F ფ ტ ო რ ი** — მინერალიზაციის პროცესების ბიოკატალიზატორია. მისი დეფიციტი იწვევს მინერალიზაციის დარღვევას, კბილის კარიესს.

**Mn მ ა ნ გ ა ნ უ მ ი** — მოქმედებს ჰორმონებსა და ფერმენტებზე. მისი დეფიციტი იწვევს ინსულიარული აპარატის მოშლას, პოტენციის დაქვეითებასა და პათოლოგიურ სიმსუქნეს.

**Ca კ ა ლ ც ი უ მ ი** — მონაწილეობს ძვლის უჯრედების წარმოქმნაში. მოქმედებს სისხლის შედეგებაზე, ნერვული იმპულსების გადაცემაზე, ფერმენტული პროცესების აქტივობაზე.

**K კ ა ლ ი უ მ ი** — უზრუნველყოფს გულის კუნთის მუშაობასა და მის ბუნებრივ აქტივობას, ხელს უწყობს მეხსიერების გაუმჯობესებას.

**Mg მ ა გ ნ ი უ მ ი** — ამაგრებს ჩონჩხის ძვლებს, კბილის მინაქარს. ხელს უწყობს თირკმელების, ღვიძლის, გულისა და ტვინის ნორმალურ ფუნქციონირებას.

**Na ნ ა ტ რ ი უ მ ი** — ფიზიოლოგიური (უჯრედგარეთ) სითხის ძირითადი შემადგენელი ნაწილია. არეგულირებს სისხლის წნევას და იცავს სისხლის ბუფერობას.

**Zn ზ ი ნ კ ი** — შედის თითქმის ყველა უჯრედის შემადგენლობაში, არეგულირებს მოზარდი ორგანიზმის ნორმალურ განვითარებასა და სქესობრივ მომწიფებას.

საპართო მინერალიზაცია შეადგენს 350 მგ/ლიტრზე, რაც უზრუნველყოფს გულის კუნთის ნორმალურ მუშაობას, ტვინის ქერქისა და ქერქქვეშა ცენტრების აქტივობას, თირკმლის ნორმალურ ფუნქციონირებას, ზრდის ღვიძლის დეტოქსიკაციურ ფუნქციას და ინარჩუნებს ძვლოვანი ქსოვილების ნორმალურ შემადგენლობას.

სასმელად გამოსადეგი არც ერთი სხვა წყალი (არც მდინარის, არც ტბის, არც ჭის და არც წყაროსი) არ შეიცავს ჩამოთვლილ მიკროელემენტებს ერთდროულად და საკმარისი რაოდენობით, ამიტომ მათი ყოველდღიური და ხანგრძლივი გამოყენება ორგანიზმში რომელიმე ელემენტის დეფიციტს იწვევს, შესაბამისად, — ფუნქციონალურ დარღვევებს, რასაც ეწოდება მიკროელემენტოზი. მას მიეკუთვნება ენდემური ჩივივი, კარიესი, ფსორიაზი, პათოლოგიური სიმსუქნე და სხვ.

„ისიდა“ გამიზნულია ოჯახური მოხმარებისთვის, ისხმება ხელის ტუმბოთი ალჭურვილ 20-ლიტრიან ბალონებში.

მსაკვეთებზე დაკავშირებული თბილისში: 899-16-30-21.

890-26-15-15 (ოფისი); რუსთაველი: 890-11-50-99; 895-91-24-14.



თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის  
ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრი



«აიდას» უსოეთში  
მოღვაწე ქართველი  
მომღერლები შეასრულებენ

თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრი დედაქალაქის მერიის მხარდაჭერით 21 ოქტომბერს წარმოადგენს ჯუზეპე ვერდის ერთ-ერთ საუკეთესო ოპერა „აიდას“.

მთავარ პარტიებს შეასრულებენ უცხოეთში დიდი წარმატებით მოღვაწე ქართველი მომღერალი, ტენორი გიორგი ონიანი (რადამესი) და ოპერის აკადემიის სტაჟიორი, მეცოსოპრანო ირინე ალექსიძე (ამნერისი), თბილისის ოპერის თეატრის სოლისტები — მაყვალა ასპანიძე (აიდა), სულხან გველესიანი (ამონასრო), კახაბერ თეთვაძე (რამფისი), გორბაძე დავითიანი-ჯილაური (მეფე), ნინო ჩაჩუა (მლოცველი), თამაზ საგინაძე (მაცნე). თეატრის გუნდსა და ორკესტრს წარუძღვება ცნობილი იტალიელი დირიჟორი ჯანლუკა მარჩიანო. „აიდა“ შეასრულდება თბილისის ჯანსუფ კანსის სახელობის ბანასლეაზულ მუსიკალურ-კულტურულ ცენტრში. დასაწყისი 19 საათზე.




წმიდა ანდრია პირველწოდებულის  
სამონასტრო კომპლექსის საბაკლო

ს.ს „გაბრთიანებული ტელეკომი“	602602
შპს „ახტალი“	700818
შპს „მათიკომი“	200320
შპს „ჯიოსელი“	700305
შპს „ბილიანი“	200333

ფოთისა და ხობის ეპარქიის განვითარების ფონდის საბანკო რეკვიზიტია:  
ს.ს „თი ბი ბანკის“ ფოთის ფილიალი  
ბანკის კოდი 220101937; ა/ა 63636080100001; ს/კ 215141246

თანხის ჩარიცხვა შეგიძლიათ სწრაფი გადახდის აპარატებით  
იხ. მენიუში: სხვადასხვა — ძველმომქმედება —  
წმ. ანდრია პირველწოდებულის  
სამონასტრო კომპლექსი.

ინფორმაციისთვის მიმართეთ  
ფონდის დირექტორს,  
დეკანოზ თეოდორე ბასილიას:  
ქ. ფოთი, ნ. ნიკოლაძის მოედანი №3,  
ტელ.: 8(293) 70736, მობ.: (899)936563,  
e-mail: eparqia-f@mail.ru



მედიაანიუსი  
საინფორმაციო სააგენტო  
<http://www.medianews.ge>

პირველი  
საინფორმაციო სააგენტო  
pirweli.com.ge

www.fact.ge  
ACM Group

საქართველო  
საინფორმაციო სააგენტო  
ესტუბრით ჩვენს საიტს  
<http://www.geworld.net>

მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა  
მთავარი რედაქტორის მოადგილეები:  
არმაზ სანაბლიძე, ზონდო მკინარაშვილი  
ტექნიკური რედაქტორი ლევან ზანბურაშვილი  
ვებრედაქტორი გორბაძე სპირიდონი  
რეალიზაციის მენეჯერი დავით ბუაძე, ოფისმენეჯერი თათია ვაშაძიძე,  
გაზეთის ხელმძღვანელოვს თავისუფალი პრესის პრინციპებით.  
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6  
ტელ.: 34-32-95; e-mail: info@geworld.net